



## საგამოცდო ცენტრის დებულება

(დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს 2022 წლის 7 ოქტომბრის კრების ოქმით)

## შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	3
მუხლი 2. საგამოცდო ცენტრის მიზნები და ამოცანები.....	3
მუხლი 3. საგამოცდო ცენტრის სტრუქტურა.....	5
მუხლი 4. ცენტრის ხელმძღვანელისა და სპეციალისტების უფლებამოსილებები .....	5
მუხლი 5. დამკვირვებელის უფლებრივი მდგომარეობა.....	6
მუხლი 6. დასკვნითი დებულებები.....	7

## საგამოცდო ცენტრის დებულება

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1 ალტე უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საგამოცდო ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგენს დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც შედის აკადემიური პროცესების მართვის სამსახურის შემადგენლობაში.
- 1.2 ცენტრი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების და სხვა მარეგულაციული აქტების, ასევე წინამდებარე დებულების საფუძველზე და ანგარიშვალდებულია აკადემიური პროცესების მართვის სამსახურის უფროსის და უნივერსიტეტის პრეზიდენტის/ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.

### მუხლი 2. საგამოცდო ცენტრის მიზნები და ამოცანები

- 2.1 ცენტრის მიზანია, გამოცდების (როგორც ელექტრონული, ისე წერიტი და ვერბალური, მ. შ. კომისიური/OSCE/OSPE ) ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, მართვა და განვითარება სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად
- 2.2 ცენტრის ამოცანებია:
- ა) შუალედური და დასკვნითი, ასევე დამატებითი გამოცდების ორგანიზება ან/და ჩატარება (მ.შ. OSCE/OSPE);
  - ბ) სამაგისტრო და ერთსაფეხურიან პროგრამებზე მისაღები გამოცდების/ ორგანიზება ან/და ჩატარება;
  - გ) მობილობაში და გაცვლით პროგრამებში ჩართული სტუდენტებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, გამოცდების ორგანიზება ან/და ჩატარება;
  - დ) გამოცდების ორგანიზებულად წარმართვისათვის შუალედურ/დასკვნით და დამატებით გამოცდებამდე არაუგვიანეს სამი კვირისა საგამოცდო ცხრილის/განრიგის ფორმირება და დაინტერესებული პირებისათვის გაზიარება;
  - ე) საგამოცდო მასალების შესაბამისი სუბიექტებისაგან გამოთხოვა, დამუშავება და ერთიან ფორმაში მოყვანა, ასევე გამოცდებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის (გამოცდის ხანგრძლივობა; სტუდენტთა რაოდენობა; გამოცდის ფორმა -

- ელექტრონული (ტესტური თუ დასაწერი), წერიტი (paper test), ვერბალური;  
 ვერბალური გამოცდის შემთხვევაში - გამომცდელ(ებ)ის ვინაობა ) გამოთხოვა;
- ვ) საგამოცდო პროცედურების საკითხებზე დაწერილ საჩივრებზე რეაგირება;
- ზ) სააკადემიკო კომისიების მუშაობის უზრუნველყოფა გამოცდების და  
 საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების დაცვის შედეგების გასაჩივრების  
 შემთხვევაში;
- თ) გამოცდების შედეგების შესაბამისი სკოლების ადმინისტრაციისათვის დადგენილ  
 ვადაში მიწოდება;
- ი) საგამოცდო პროცედურების, შესაბამისი მარეგულირებელი აქტების  
 (წესი/ინსტრუქცია, დებულება) შემუშავება/შემუშავებაში მონაწილეობის მიღება  
 კომპეტენციის ფარგლებში;
- კ) საგამოცდო პროცესების ციფრული ტრანსფორმაციის ინიცირება და ხელშეწყობა  
 (საგამოცდო პროცესის საკადრო (როგორც წერიტი/ელექტრონული  
 გამოცდისათვის (არა სფეროს სპეციალისტებით), ისე ვერბალური გამოცდისათვის  
 (სფეროს სპეციალისტებით, შესაბამის სკოლასთან შეთანხმებით)) და  
 ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
- მ) ყოველსემესტრულად საგამოცდო პროცესის და მისი შედეგების ანალიზის  
 განხორციელება და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა აკადემიური პროცესების  
 მართვის სამსახურის უფროსისათვის გამოცდების ჩატარებიდან ერთი კვირის  
 განმავლობაში და ცენტრის საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის  
 მომზადება და წარდგენა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე  
 უნივერსიტეტის პრეზიდენტისათვის/ვიცე პრეზიდენტისათვის;
- მ) კომპეტენციის ფარგლებში მომსახურების გაწევა სხვა  
 დაწესებულებებისათვის/ორგანიზაციებისათვის/სხვა დაინტერესებული  
 პირებისათვის .

### **მუხლი 3. საგამოცდო ცენტრის სტრუქტურა**

- 3.1 ცენტრს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტი.
- 3.2 ცენტრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია აკადემიური პროცესების მართვის სამსახურის უფროსის და უნივერსიტეტის პრეზიდენტის/ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.
- 3.3 ცენტრში დასაქმებულია 2 სპეციალისტი: ერთი სპეციალისტი კურირებს საგამოცდო პროცესებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში, ხოლო მეორე - ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების (უნივერსიტეტის ტერიტორიაზე) ფარგლებში.
- 3.4 ხელშეკრულების საფუძველზე ცენტრი, საჭიროებისამებრ, თანამშრომლობს ფიზიკურ/იურიდიულ პირებთან, რომლებიც/რომელთა წარმომადგენლები (დამკვირვებლები) მეთვალყურეობენ საგამოცდო პროცესს გამოცდების დადგენილი წესების შესაბამისად ჩატარების უზრუნველსაყოფად.
- 3.4 ცენტრის თანამშრომლების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ აქტით, ხელშეკრულებით და სამსახურებრივი ინსტრუქციებით, რომლებსაც შეიმუშავებს ცენტრის ხელმძღვანელი.

### **მუხლი 4. ცენტრის ხელმძღვანელისა და სპეციალისტების უფლებამოსილებები**

- 4.1 ცენტრის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებია:
- ა) ცენტრის საერთო ხელმძღვანელობა და მის განვითარებაზე ზრუნვა;
  - ბ) თანამშრომლებს შორის ფუნქციების გადანაწილება, მათი საქმიანობის ზედამხედველობა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა;
  - გ) შემოსულ წერილებზე, საჩივრებზე და სხვ. რეაგირება, საგამოცდო პროცესის მარეგულირებელი აქტების პროექტების მომზადება/მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
  - დ) ცენტრის საჭიროებების განსაზღვრა (მატერიალური, საკადრო) და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისთვის მიმართვა;

- ე) მე-3 მუხლის 3.4 პუნქტით განსაზღვრული პირების იდენტიფიცირება და მათთან შრომითი ხელშეკრულების დადების უზრუნველყოფა;
- ვ) ყოველსემესტრული და ყოველწლიური ანგარიშის მომზადება და წარდგენა;
- ზ) პერსონალური ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა კომპეტენციის ფარგლებში;
- თ) სხვა ფუნქციების განხორციელება ცენტრის მიზნების და ამოცანების შესაბამისად.

#### 4.2 ცენტრის სპეციალისტის უფლება-მოვალეობებია (საკურაციო სფეროს გათვალისწინებით):

- ა) შუალედური/დასკვნითი და დამატებითი გამოცდების დაგეგმვა სკოლებთან შეთანხმებით ;
- ბ) გამოცდების ცხრილის/განრიგის გამოცდებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე დაინტერესებული მხარეებისათვის გაზიარება;
- გ) გამოცდების ორგანიზება (საკითხების ელ. პროგრამაში შეყვანა და ტესტების გენერირება/ წერითი გამოცდების ბლანკების მომზადება და საგამოცდო ნაწერების დაშიფვრა/განშიფვრა/ OSCE, OSPE და მედიცინის საერთაშორისო სკოლის სხვ. გამოცდებისთვის საგამოცდო ფორმების მომზადება (მ.შ. სტანდარტიზირებული პაციენტით გამოცდების უზრუნველყოფა) და სხვ.);
- დ) გამოცდაზე გამოცხადებული სტუდენტების აღრიცხვის უზრუნველყოფა და საგამოცდო პროცესის საერთო ზედამხედველობა;
- ე) წინადადებების შემუშავება გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით;
- ვ) გამოცდებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავება;
- თ) საგამოცდო პროცესის და მისი შედეგების გაანალიზება

### **მუხლი 5. დამკვირვებელის უფლებრივი მდგომარეობა**

5.1 დამკვირვებელი არის პირი, რომელიც ესწრება საგამოცდო პროცესს მისი ორგანიზებულად და დადგენილი წესების შესაბამისად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5.2 დამკვირვებლის სამუშაო პირობები, ფუნქციები და საგამოცდო პროცესში ჩარევის ფარგლები განისაზღვრება მასთან დადებული ხელშეკრულებით და სამსახურებრივი ინსტრუქციით.

5.3 დამკვირვებელი ანგარიშვალდებულია ცენტრის ხელმძღვანელის წინაშე.

## **მუხლი 6. დასკვნითი დებულებები**

6.1 ცენტრის დებულება ძალაში შედის მისი დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცების მომენტიდან.

6.2 ცენტრის დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ან მისი გაუქმება ხდება დირექტორთა საბჭოს მიერ.